უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება №71

2018წ. "24" 09

ქ.თბილისი

შპს ქუთაისის უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ფორმაში ასახული ინფორმაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 56^2 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 56^3 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 25-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, მე-6 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს ქუთაისის უნივერსიტეტს (ს/კ: 212677094) 6 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 900-ით.
2. შპს ქუთაისის უნივერსიტეტს მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები.
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 24 სექტემბრის №16 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს ქუთაისის უნივერსიტეტის შესახებ, ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილებად.

4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
დავით აფრასიძე

მდივანი
მაკა გველესიანი

დანართი

№	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სწავლების ენა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	ინფორმაცია პროგრამის აკრედიტაციის შესახებ	მიუთითეთ შესაბამისი გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი
1	ბიზნესის ადმინისტრირება	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი (02)	240	--------	
2	ეკონომიკა	ქართული	ეკონომიკის ბაკალავრი (0701)	240	აკრედიტებული	11.11.2011, #262
3	ტურიზმის მენეჯმენტი	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში (1120)	240	აკრედიტებული	11.11.2011, #261
4	ფინანსები, საბანკო და სადაზღვევო საქმე	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ფინანსებში (0204)	120	-------	
5	საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი საბუღალტრო აღრიცხვაში (0201)	120	--------	
6	ეკონომიკა	ქართული	ეკონომიკის დოქტორი (0701)	180	აკრედიტებული	03.07.2012, #137